ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 30

10 ოქტომბერი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

15:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ე. კუხიანიძე, მ. დარჩია, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე, ა. ლაშხი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. ნინო ლაცაბიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ალექსანდრე ხუჯაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. ლევან არველაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. ნინო სანადირაძე - ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების“ დირექტორი;
2. ცირა შალოშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** თბილისის მუზეუმების პოტენციალი დედაქალაქის ტურიზმის განვითარებისთვის.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დამტკიცდა განათლებისა და კულტურის კომისიის წევრების მიერ.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე თბილისის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიასთან გაერთიანებული სხდომის ფორმატში იმსჯელებენ თბილისის მუზეუმების ტურისტულ პოტენციალსა და მის განვითარებაზე. დეპუტატმა მოკლედ მიმოიხილა ის მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელიც დედაქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოდერნიზების მიზნით გატარდა უკანასკნელ წლებში და აღნიშნა, რომ ერთ-ერთი წარმატებული რეფორმა, სწორედ 2016 წელს ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების" დაფუძნებაა, რომელმაც გააერთიანა 9 დამოუკიდებელი მუზეუმი და წარმოადგენს ერთიან ინსტიტუციას. ქალბატონი თამარ ტალიაშვილის თქმით, მუზეუმებში მოცემული დროისთვის არსებული მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება 2014 წელს არსებული მძიმე მდგომარეობისგან, რაც მუნიციპალიტეტის მიერ ეფექტიანი ღონისძიებების გატარების შედეგს წარმოადგენს. დეპუტატმა პროცესებში გაერთიანების დირექტორის ნინო სანადირაძის წვლილი ხაზგასმით აღნიშნა და მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისთვის.

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ აღნიშნა, რომ დედაქალაქის მუზეუმების განვითარება ეკონომიკური და ტურისტული თვალსაზრისით ერთ-ერთი აქტუალური საკითხია კომისიისთვის. დეპუტატის თქმით, მიმდინარე სხდომის მიზანს ტურიზმის ხელშეწყობისთვის მუზეუმებში უკვე გატარებული ღონისძიებებისა და სამომავლოდ დაგეგმილი ნაბიჯების ერთობლივი განხილვა წარმოადგენს.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ 2014 წელს მიღებული საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს მუნიციპალიტეტებს საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში გადმოეცათ ტურიზმის განვითარება, რაც მანამდე არ ჰქონდა. დეპუტატის თქმით, გატარებული ღონისძიებების შედეგად, თბილისი გახდა მსოფლიოს ქალაქების ტურიზმის ასოციაციის წევრი, რაც მნიშვნელოვანია ქალაქებს შორის

ურთიერთთანამშრომლობის, გამოცდილების გაზიარებისა და პროგრამების განხორციელებისთვის.

სიტყვა გადაეცა ნინო სანადირაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ 2016 წლამდე - გაერთიანების შექმნამდე - არც ერთ სოციალურ მედიაში, ტურისტულ პლატფორმასა თუ მისამართების ცხრილშიც არ იყო მონიშნული თბილისის მუზეუმები. მოცემული დროისთვის კი შექმნილია ვებგვერდი და სხვადასხვა სოციალური პლატფორმა, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში აწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ პირებს. მისი თქმით, ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება" არის მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) წევრი, რაც 5 წლიან წევრობას გულისხმობს; გაერთიანებიდან პირველივე წელს ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანებამ" მოიპოვა უფლება მუზეუმების საერთაშორისო კვირეულში მონაწილეობისა და ლოგოს გამოყენების, მეორე წლიდან კი გაერთიანების თანამშრომლები საბჭოს ბარათების მფლობელები გახდნენ.

ქალბატონი ნინო სანადირაძის განმარტებით, გაერთიანება აქტიურად მუშაობს ტურისტულ მარშრუტებში ჩართვაზე, შედეგად უკვე გაჩნდა საერთაშორისო ნიშნულებში თბილისის მუზეუმები, რაც არა მხოლოდ გაერთიანების, არამედ იმ კულტურული მემკვიდრეობის დამსახურებაც არის, რაც დედაქალაქს აქვს. დირექტორის განმარტებით, 2017 წელი UNESCO-ს მიერ გამოცხადებული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის წლად და სწორედ ამ წელს გაიხსნა რეაბილიტირებული თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი, რომლის მცირე სივრცე საკმარისი არ აღმოჩნდა ევროპული მემკვიდრეობის ღონისძიებაში - „ევროპა ნოსტრა" მონაწილეობაზე განაცხადის წარდგენისთვის.

ქალბატონი ნინო სანადირაძის თქმით, თბილისის რეაბილიტირებულ მუზეუმებში შენარჩუნებულია ავთენტურობა; 2019 წელს დასრულდება თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის რეაბილიტაცია და ის უპრეცედენტო იქნება დედაქალაქში სამუზეუმო ექსპონატების და აქსესუარების ავთენტურობის თვალსაზრისით. მისი განმარტებით, გაერთიანება პროექტების დაგეგმვისას ითვალისწინებს ტურისტული მიზიდულობისა და პოპულარიზაციის საკითხებს და ამ კუთხით მაქსიმალურად ცდილობს მუზეუმების რესურსების გამოყენებას ღია სივრცეების, თუ კაფეების მოწყობის თვალსაზრისით.

გაერთიანების დირექტორმა ასევე ისაუბრა მუზეუმების სიახლეზე - საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელიც განსხვავებული ასაკისა და ინტერესების ადამიანებისთვის არის გათვალისწინებული; პროგრამების რაოდენობამ 30-ს მიაღწია და მათგან 11 ვორქშოპის ფორმატით ტარდება. ქალბატონი ნინო სანადირაძის თქმით, გაერთიანება აქტიურად თანამშრომლობს სკოლებთან და გარდა ექსკურსიებისა, მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ, ღია გაკვეთილები ჩაუტარონ მოსწავლეებს სამუზეუმო სივრცეში. ქალბატონმა ნინო სანადირაძემ სხდომის მონაწილეები მიიწვია 22 ოქტომბერს აღმოსავლეთმცოდნეობის

საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც თბილისის მუზეუმების გაერთიანება უკვე მესამედ უმასპინძლებს და რომელშიც ერთდროულად მიიღებენ მონაწილეობას ისრაელისა და არაბული ქვეყნების წარმომადგენლები.

ქალბატონმა ნინო სანადირაძემ საუბარი გააგრძელა ისეთ პრობლემურ საკითხზე საუბრით, როგორიც არის მუზეუმის საზიარო სივრცეები მოსახლეობასთან, ვინაიდან მათი უმრავლესობა კორპუსის ეზოში მდებარეობს; მაგალითად მოიყვანა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის მემორიალური მუზეუმი, რომელსაც აქვს საზიარო ეზო და რომლის გადაწყვეტის საკითხზე აქტიურად მუშაობს თბილისის მერიასთან ერთად. მან ასევე აღნიშნა, რომ კანონი ,,მუზეუმების შესახებ'', საჭიროებს ცვლილებებს, რითაც მუზეუმებს დამატებით ტიპის საქმიანობის უფლება მიენიჭება.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა გაერთიანების დირექტორს „მუზეუმის კვირეულის" ფარგლებში წარმატებული თანამშრომლობისთვის. დეპუტატის თქმით, განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით შეიქმნა პროექტი, რის ფარგლებშიც თბილისის ყველა რაიონიდან მოსწავლეები ეწვივნენ მუზეუმებს და ჩაერთვნენ საგანმანათლებლო-შემეცნებით პროგრამებში. პროექტი 2018 წლიდან უკვე მეორედ გაიმართა საზოგადოების მხარდაჭერისა და მაღალი ჩართულობიდან გამომდინარე. ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა სამომავალოდ აღნიშნული პროექტის გაგრძელების აუცილებლობაზე ისაუბრა.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ თბილისის მუზეუმები გამოირჩევა თავისი აქტიურობით სხვა ევროპულ ქალაქებში არსებული მსგავსი მუზეუმებისგან. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ არაჩვეულებრივია მუზეუმების გაერთიანების მიერ გამოცემული წიგნები; ქალბატონი მარიკას თქმით, 2021 წელს თბილისი გამოცხადებულია წიგნის დედაქალაქად და ამ კუთხით თბილისის მუზეუმების როლი მაღალი უნდა იყოს. კომისიის წევრმა ყურადღება გაამახვილა თოჯინების მუზეუმის საკითხზე და დროულად გადაწყვეტის აუცილებლობაზე.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ 2014 წელს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომაზე, რომელზეც მუზეუმის წარმომადგენლებთან ერთად მსჯელობდნენ მუზეუმში დამთვალიერებელთა მოზიდვის მარკეტინგულ ინსტრუმენტებზე, გამოიკვეთა პირველ ეტაპზე მუზეუმის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების აუცილებლობის საკითხი. სწორედ ამ მიზნით, ეტაპობრივად ჩატარდა ვახტანგ ჭაბუკიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, კოტე და სოსო წერეთლების, შიო არაგვისპირელის, რომლის რეაბილიტაცია 2020 წელს დასრულდება, ილია ჭავჭავაძის მუზეუმების რეაბილიტაცია; მიმდინარეობს გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმის რეაბილიტაცია, მომავალ წელს კი იგეგმება მიხეილ ჯავახიშვილის, ზაქარია ფალიაშვილისა და მერაბ კოსტავას მუზეუმების განახლება. დეპუტატის თქმით,

თოჯინების მუზეუმის საკითხი კი ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხად რჩება, რომელზეც დედაქალაქი აქტიურად მუშაობს.

ქალბატონმა ნინო სანადირაძემ განმარტა, რომ 2016 წლამდე არ ხდებოდა მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობის აღრიცხვა, არ იყიდებოდა ბილეთები, რაც 2017 წლიდან დაიწყო იუნესკო-ს რეკომენდაციის მიხედვით და ადგილობრივი და უცხოელი დამთვალიერებლისთვის ერთი და იგივე ფასი დაწესდა, ხოლო შეღავათიანი ფასით სარგებლობს სოციალურად დაუცველები, სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები. მისი თქმით, მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის მემორიალურ მუზეუმში 2017 წლიდან 2018 წლის ბოლომდე დაახლოებით 21 000 დამთვალიერებელი იყო, შემოსავალმა კი 30 000 ლარი შეადგინა.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ზარქუამ მადლობა გადაუხადა კომისიების თავმჯდომარეებს - ქალბატონ თამარ ტალიაშვილს და ნინო ლაცაბიძეს საკითხის სხდომის ფორმატში განხილვისთვის. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზეუმი არის გამორჩეული და აქვს პოტენციალი უცხოელი დამთვალიერებლების მოზიდვის. მისი თქმით, გარდა ინტერიერისა და 3D ტექნოლოგიებისა, მუზეუმი მდებარეობს ტურისტულად აქტიურ ქუჩაზე, თუმცა იოანე შავთელის ქუჩიდან შესასვლელი, სადაც მდებარეობს გაბრიაძის თეატრი და ტურისტებისთვის მიმზიდველი კაფეები, დაკეტილია, რითაც იკარგება კიდევ უფრო მეტი ვიზიტორის მიზიდვის შესაძლებლობა. დეპუტატმა ასევე გამოთქვა იდეა, კომისიის ფორმატში მოხდეს ადგილზე გასვლა ცხრავე მუზეუმში. წინადადებასთან დაკავშირებით ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნება პროცესში ტუროპერატორების ჩართვა და საინფორმაციო კამპანიის გატარება.

ბატონი ირაკლი ზარქუამ ასევე აღნიშნა, რომ ტურისტების დიდი ნაწილი დაინტერესებულია სწორედ კულტურული თავისებურებების გაცნობით, შესაბამისად ტურისტულ სააგენტოებთან სწორი მუშაობით უნდა იქნეს მიღწეული შეთანხმება ორმხრივად სასარგებლო წინადადებაზე, რის შედეგადაც ისინი უზრუნველყოფენ ტურისტების თბილისის მუნიციპალურ მუზეუმებში მიყვანას. დეპუტატმა ასევე, ყურადღება გაამახვილა თანამშრომლებისთვის სამოტივაციო სისტემის შექმნაზე, რითაც ისინიც დაინტერესებულები იქნებიან, რომ ხელი შეუწყონ კონკრეტულ მუზეუმში დამთვალიერებელთა რაოდენობის გაზრდას. საკითხთან მიმართებით, ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია ბონუსური სისტემის დანერგვა.

სხდომის დასასრულს ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ შესთავაზა სხდომის მონაწილეებს სამომავლო თანამშრომლობის ფორმატში განსახილველი შემდეგი საკითხები: საკრებულოს დეპუტატების ვიზიტი თბილისის მუზეუმებში და არსებული მდგომარეობის ადგილზე გაცნობა; საინფორმაციო შეხვედრა ტურისტულ ორგანიზაციებთან მუზეუმებში და მუზეუმებში ბონუსური სისტემის დანერგვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ ბონუსური სისტემის დანერგვისა და ტუროპერატორებთან შეთანხმების საკითხები საჭიროებს როგორც იურიდიულ, ისე ფინანსურ და ეკონომიკურ საფუძვლიან ანალიზს და მერიის შესაბამის დარგობრივ საქალაქო სამსახურებთან ერთობლივ მუშაობას, მათ შორის, იურიდიულის, საფინანსოს, კულტურის და ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურებთან.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, ნინო ლაცაბიძემ, ნინო სანადირაძემ, მარიკა დარჩიამ, ირაკლი ზარქუამ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი